ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედების მეთოდოლოგია

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2024

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს დამხმარე მეთოდოლოგიურ გზამკვლევს, რომელიც ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებს (შემდგომ - დაწესებულებები/ბაღები) საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის N76 დადგენილებით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებით“ (შემდგომ - ავტორიზაციის სტანდარტები) გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაში გაუწევს მხარდაჭერას.

ავტორიზაციის სტანდარტები (მეოთხე სტანდარტი) ითვალისწინებს ბაღების მიერ პროცედურების შემუშავებას ბავშვზე ძალადობის ეჭვის შემთხვევაში მოქმედებისთვის. თავის მხრივ, აღნიშნული პროცედურების შემუშავების მიზანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ (შემდგომ - რეფერალი/ბავშვთა დაცვის რეფერალი) ბაღების პრაქტიკაში დანერგვა. ბავშვთა დაცვის რეფერალით დადგენილი ვალდებულებების შესრულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ბაღის თანამშრომლები დეტალურად იცნობდნენ ძალადობის გამოვლენისა და რეფერირების პროცედურებს და აცნობიერებდნენ ამ პროცედურებში საკუთარ როლსა და პასუხისმგებლობას.

დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა და მიზნად ისახავს ბაღებისთვის ინფორმაციის მიწოდებას იმ ვალდებულებებზე, რასაც ბავშვთა დაცვის რეფერალი მათ აკისრებთ; ასევე, მოიცავს პრაქტიკაში აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ რეკომენდაციებს, რაც ბაღებს ზემოხსენებული ვალდებულებების შესრულებაში დაეხმარებათ.

სარჩევი

თავი I. რა არის ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები? 4

თავი II. ბავშვის მიმართ ძალადობა და ძალადობის ფორმები 5

თავი III. რას მოიცავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა და რა ადგილი აქვს ბაღს ამ სისტემაში? 7

თავი IV. რა დროს უნდა გაჩნდეს ეჭვი ბავშვის მიმართ ძალადობაზე? 8

თავი V. როგორ უნდა იმოქმედოს ბაღმა ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში? 10

1. ადგილზე შემთხვევის გაანალიზება და ეჭვის საფუძვლიანობის დადგენა 10

2. უფლებამოსილი ორგანოების ინფორმირება 12

3. ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა 16

თავი VI. ბაღის თანამშრომელთა გადამზადების აუცილებლობა ბავშვთა ძალადობის საკითხებზე 17

თავი VII. ნაპოვნი/მიტოვებული ბავშვი 18

თავი VIII. ინფორმაციის გაცვლა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში 18

თავი IX. ინფორმაციის კონფიდენციალურობა 18

თავი X. ვალდებულებათა შეუსრულებლობა 19

დანართი 1 20

დანართი 2 24

თავი I. რა არის ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები?

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული იქნა „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“. აღნიშნული დოკუმენტის მიზანია როგორც ოჯახში, ასევე მის გარეთ, ბავშვის დაცვა ძალადობის ყველა ფორმისგან. ამ მიზნით, ბავშვთა დაცვის რეფერალი ადგენს რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების შეთანხმებული მუშაობის წესს, განსაზღვრავს მათ როლსა და ფუნქციებს, ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში ეფექტიანი და სწრაფი რეაგირების მიზნით.

რეფერირების პროცედურებში ჩართულ სუბიექტთა შორისაა ბაღიც, რომელსაც ბავშვზე ძალადობის შემთხვევ(ებ)ის გამოვლენისა და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრება. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა კი იწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას (დეტალურად იხ. თავი X).

ბავშვთა დაცვის რეფერალით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ბაღს უნდა გააჩნდეს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია (შემდგომ - შიდა ინსტრუქცია). შიდა ინსტრუქციით დეტალურად განისაზღვრება, რეფერალის ფარგლებში, როგორ ნაწილდება ბაღის თანამშრომლებს შორის ვალდებულებები/პასუხისმგებლობა და რა პროცედურებს მოიცავს ბავშვის მიმართ ძალადობის გამოვლენა და მასზე შესაბამისი რეაგირება.

თავი II. ბავშვის მიმართ ძალადობა და ძალადობის ფორმები

ბავშვის მიმართ ძალადობად ითვლება პირის მიერ ბავშვის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით, მიუხედავად იმისა, ეს ქმედება განხორციელდა/ხორციელდება განზრახვით ან/და განზრახვის გარეშე.

არსებობს ბავშვის მიმართ ძალადობის შემდეგი ფორმები:

- **ფიზიკური ძალადობა** - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს.
  მაგ: ხელის კვრა, თმის მოქაჩვა, გალახვა და ა.შ.
- **სექსუალური ძალადობა** - ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მიმართ.
  მაგ: ბავშვისთვის სექსუალური შინაარსის ინფორმაციის მიწოდება, პორნოგრაფიული მასალის ჩვენება.
- **ფსიქოლოგიური ძალადობა** - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას ან დაშინებას.
  მაგ: ბავშვის მოხსენიება დამამცირებელი სახელებით; უფროსების ჩხუბი ბავშვის თანდასწრებით.
- **ეკონომიკური ძალადობა** - ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებების შეზღუდვას.
  მაგ: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი არ ზრუნავს ბავშვის კვებაზე;
- **იძულება** - ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს ქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან/და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება, მათ შორის: იძულებითი ქორწინება, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა ან/და თანამონაწილეობა, ნივთიერებათა ავად მოხმარება, მოწყალების თხოვნა, აგრეთვე ბავშვის ჩართვა შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღ ფიზიკურ და მენტალურ განვითარებას) შეზღუდვას. იძულებად ჩაითვლება ბავშვის შრომის შედეგად მოპოვებული თანხის მთლიანი ან/და ნაწილობრივი მითვისება.
  მაგ: ბავშვის ჩართვა მოწყალების თხოვნაში.
- **უგულებელყოფა** - მშობლის/მშობლების, სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან/და სხვა პასუხისმგებელი პირის მიერ ბავშვის ფიზიკური (მათ შორის: კვება, ჰიგიენა,

საცხოვრისი), ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვისათვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოწესრიგებისათვის, აგრეთვე სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს (მშობლებს), სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან/და სხვა პასუხისმგებელ პირს აქვს (აქვთ) სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება (მიუწვდებათ) შესაბამის მომსახურებაზე.

მაგ: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი არ ზრუნავს ბავშვისთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდებაზე ავადმყოფობის დროს; მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ბავშვი ბაღში დაჰყავს მუდმივად მოუწესრიგებელი, ჭუჭყიანი ან სეზონის შეუფერებელი ტანსაცმლით; არარეგულარულად დაჰყავს ბაღში ან ავიწყდება მისი ბაღიდან გაყვანა.

ძალადობა შესაძლებელია კომბინირებული სახით არსებობდეს და აერთიანებდეს მის რამდენიმე ფორმას. მაგ: ფსიქოლოგიური ძალადობა ძალიან ხშირად ახლავს ძალადობის სხვა ფორმებს; ასევე, ბავშვის მიმართ ეკონომიკური ძალადობა ძირითადად უგულებელყოფის ფორმითაა გამოხატული და ა.შ.

თავი III. რას მოიცავს ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა და რა ადგილი აქვს ბაღს ამ სისტემაში?

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს:

ა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას;
ბ) ბავშვის მდგომარეობის შეფასებას;
გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას;
დ) საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებაში/თავშესაფარში/მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციას;
ე) ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას.

ბაღის ვალდებულებები გამოკვეთილია რეფერირების ზემოხსენებული სისტემის ოთხ სხვადასხვა ეტაპზე, ესენია:

- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენა:

  ბავშვზე ძალადობის საეჭვო ნიშნების არსებობისას, ბაღი ამოიცნობს ამ ნიშნებს და ეჭვს მიიტანს ბავშვის მიმართ ძალადობაზე.

- ბავშვის მდგომარეობის შეფასება:

  ბაღი ადგილზე ამოწმებს და აანალიზებს შემთხვევას, ადგენს ეჭვის საფუძვლიანობას და შემთხვევის გადაუდებლობას.

- ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირება:

  საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, ბაღი ახდენს შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო(ები)სთვის.

- ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობა:

  ბაღი აწარმოებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსთან (შემდგომ - სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო) თანამშრომლობით.

თავი IV. რა დროს უნდა გაჩნდეს ეჭვი ბავშვის მიმართ ძალადობაზე?

ბავშვთა დაცვის რეფერალი ითვალისწინებს იმ სუბიექტების ჩამონათვალს, რომელთაც შეხება აქვთ ბავშვებთან ან/და მათ ოჯახებთან ან იმ გარემოსთან, სადაც ბავშვი იმყოფება; აღნიშნულ სუბიექტებს ევალებათ ბავშვზე ძალადობის შემთხვევ(ებ)ის გამოვლენა და მათზე რეაგირება; ბაღები სწორედ მათ რიცხვშია.

რეფერალი ასახელებს იმ ნიშნებს/ფაქტორებს, რომელთაგან ერთის ან რამდენიმეს არსებობის შემთხვევაში, უნდა გაჩნდეს ეჭვი ბავშვზე სავარაუდოდ განხორციელებულ ძალადობაზე. ესენია:

ა) ბავშვზე სხეულის დაზიანების ნიშნების არსებობა (სხვადასხვა ფერის სილურჯეები, სხვადასხვა ხარისხის ჭრილობები და ნაკაწრები, იარები, გაძნელებული სიარული, სხეულის შეშუპებული ნაწილები, მოტეხილობები, დამწვრობის კვალი, კოპები და სხვა სახის დაზიანებები);

ბ) ბავშვი იქცევა საეჭვოდ (ბავშვი აღგზნებულია, დათრგუნულია, აქვს შიშები, არ უნდა სახლში დაბრუნება, რადიკალურად შეეცვალა ხასიათი და სხვ.);

გ) ბავშვი არ დადის ან/და არარეგულარულად დადის ბაღში;

დ) ბავშვი არ არის რეგისტრირებული ან ბავშვს არ აქვს დაბადების მოწმობა, აგრეთვე არ არის პედიატრის/ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ;

ე) ბავშვი მოუვლელია, მნიშვნელოვნად ჩამორჩება ფიზიკურ განვითარებაში, ბავშვს აქვს მოუწესრიგებელი გარეგნული იერ-სახე – უსუფთაო სახე და სხეული, აცვია ჭუჭყიანი ან/და სეზონისთვის შეუფერებელი ტანსაცმელი, იკვებება საჭმლის ნარჩენებით;

ვ) ასაკის შეუფერებლად დროს ატარებს უმეთვალყურეოდ, საცხოვრებელი გარემო შეიცავს საფრთხეებს ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის, ცხოვრობს ბავშვთა ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად;

ზ) ჩართულია ისეთ შრომით საქმიანობაში, მათ შორის, წვრილმან ვაჭრობაში, რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური განვითარების) შეზღუდვას;

თ) ბავშვი გამოყენებულია და ჩაბმულია მისი ასაკისათვის შეუფერებელ სამუშაოში ან/და ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში (ითხოვს მოწყალებას/მათხოვრობს, არაგონივრულად დიდ დროს ატარებს ქუჩაში);

ი) ბავშვი ხშირად გადაადგილდება უცხო პირთან/პირებთან ერთად ნათესავის ან ახლობლის გარეშე ან იმყოფება უცხო პირების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ან/და უწევს მათ მომსახურება;

კ) ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელიც შესაძლოა მიუთითებდეს ბავშვზე ძალადობაზე.

ზემოხსენებული ფაქტორებიდან ერთ-ერთის არსებობაც კი საკმარისია იმისთვის, რომ ბაღის ნებისმიერმა თანამშრომელმა ეჭვი მიიტანოს ბავშვის მიმართ ძალადობაზე და არ დატოვოს არცერთი საეჭვო ნიშანი უყურადღებოდ. ეჭვის გაჩენისას, თანამშრომელი მოქმედებს შიდა ინსტრუქციის შესაბამისად და ინფორმაციას აწვდის იმ პირს, ვისაც ძალადობის სავარაუდო შემთხვევებზე შესაბამისი რეაგირება ევალება.

თავი V. როგორ უნდა იმოქმედოს ბაღმა ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში?

ბავშვზე ძალადობის ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, ბაღი ვალდებულია:

- ადგილზე გააანალიზოს შემთხვევა და დაადგინოს, საფუძვლიანია თუ არა წარმოქმნილი ეჭვი;
- საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, უზრუნველყოს შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანო(ები)სთვის;
- ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე განახორციელოს ზედამხედველობა, კომპეტენციის ფარგლებში.

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი სავალდებულოდ ადგენს, რომ დაწესებულებას ჰყავდეს ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისათვის და ბავშვთა ძალადობისგან დაცვისათვის პასუხისმგებელი პირი. ავტორიზაციის სტანდარტები ასევე განსაზღვრავს დაწესებულებაში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის არსებობის აუცილებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბაღის მიერ უნდა განისაზღვროს შესაბამისი უფლებამოსილი პირი (შემდგომ - რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი) - ეს შეიძლება იყოს ბაღის მოქმედი თანამშრომელი, რომელსაც სხვა ფუნქციებთან ერთად შეთავსებით დაევალება რეფერირების პროცედურებზე პასუხისმგებლობა. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პირის უფლებამოსილებები დეტალურად იყოს გაწერილი შიდა ინსტრუქციით. აღნიშნული თანამშრომელი მთავარი პასუხისმგებელი პირი იქნება ბავშვთა დაცვის რეფერალით ბაღისათვის გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. აქვე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ბაღში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის არსებობა არ ათავისუფლებს ბაღის სხვა თანამშრომლებს ვალდებულებისგან, ბავშვზე ძალადობის საეჭვო ნიშნები ამოიცნონ და, ასეთის არსებობისას, ინფორმაცია მიაწოდონ რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს.

1. ადგილზე შემთხვევის გაანალიზება და ეჭვის საფუძვლიანობის დადგენა

როგორც უკვე აღინიშნა, ეჭვი ბავშვის მიმართ ძალადობაზე შესაძლებელია გაუჩნდეს ნებისმიერ თანამშრომელს, რომელსაც ბავშვთან აქვს ურთიერთობა. მათ შორის, ეს თანამშრომელი შესაძლებელია იყოს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირიც. ამდენად, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი შესაძლებელია თავად იყოს ის პირი, ვინც ძალადობაზე თავდაპირველი ეჭვი მიიტანა; ან მხოლოდ მას შემდეგ ჩაერთოს შემთხვევის შესწავლა/მართვაში, რაც მას სხვა თანამშრომლისგან ეცნობება ბავშვზე ძალადობის ეჭვის შესახებ.

მას შემდეგ, რაც გაჩნდება ეჭვი ბავშვის მიმართ ძალადობაზე, საქმეში ერთვება რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ეჭვის საფუძვლიანობის დადგენის მიზნით, ახდენს ინფორმაციის ადგილზე გადამოწმებას და გაანალიზებას. აღნიშნული პირი, შიდა ინსტრუქციის შესაბამისად, ადგილზე უნდა გაესაუბროს სავარაუდო მსხვერპლ ბავშვსა და მოწმეებს; ასევე,

მნიშვნელოვანია გასაუბრება ბავშვის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან; თუმცა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინფორმაციის გადამოწმების პროცესში რა მოქმედებების განხორციელება გახდება საჭირო, ინდივიდუალურად, შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. მაგ: თუ ბავშვს ეტყობა ძალადობის კვალი და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ბავშვთან გასაუბრებით მისგანვე იღებს ინფორმაციას, რომ ის ძალადობის მსხვერპლია, დამატებით მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გასაუბრების აუცილებლობაც აღარ არსებობს და უკვე სახეზეა საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევა, რა დროსაც შესაბამისი ორგანოების ინფორმირების ვალდებულება წარმოიშობა. თუმცა, იმავე შემთხვევაში, თუ ბავშვი თავად არ ამბობს, რომ ძალადობის მსხვერპლია, ეს არაა საფუძველი იმისთვის, რომ ეჭვი დამატებით აღარ გადამოწმდეს და პირდაპირ უსაფუძვლოდ ჩაითვალოს. ამ შემთხვევაში, შემდეგი მოქმედება შესაძლებელია იყოს, კონკრეტული შემთხვევის გარემოებების გათვალისწინებით, ან გასაუბრება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან; ან, თუ რომელიმე ბაღის თანამშრომელი თავადვე შეესწრო ძალადობის ფაქტს, მასთან გასაუბრება; ბაღის სამედიცინო პერსონალის ჩართვა ბავშვის დაზიანებების შესაფასებლად და სხვ.

აქვე, გასათვალისწინებელია ბაღის ბავშვების მცირე ასაკი და ასევე, ის გარემოებაც, რომ ბავშვები ხშირად მოძალადისგან დასწავლილ პასუხებს იძლევიან. ამიტომ, მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმ საეჭვო ნიშნებზე, რაც შესაძლებელია, ბავშვზე განხორციელებულ ძალადობაზე მიანიშნებდეს; ასევე, შემთხვევის გადამოწმება/გაანალიზების დროს არ უნდა შეიქმნას მოლოდინი, რომ ბავშვი მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე აუცილებლად თავად ისაუბრებს.

ბავშვთა დაცვის რეფერალის თანახმად, <u>**საფუძვლიანი ეჭვი**</u> შესაძლებელია წარმოიშვას, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები:

ა) ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ბ) ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;

გ) მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა, როგორიცაა:

> დ.ა) ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან;
>
> დ.ბ) ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის;
>
> დ.გ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება;

დ.დ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური რეაგირება ბავშვის ტრავმაზე;

დ.ე) ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზის აუხსნელობა;

ე) სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

იმ შემთხვევაში, თუ ადგილზე შემთხვევის გადამოწმება/გაანალიზების შედეგად გამოიკვეთება ზემოხსენებული ერთი ან რამდენიმე გარემოება, აღნიშნული დაადასტურებს ეჭვის საფუძვლიანობას. თავის მხრივ, საფუძვლიანი ეჭვი არ გულისხმობს იმას, რომ ძალადობის ფაქტი უკვე დადასტურდა. ამის არც ვალდებულება და არც შესაბამისი კვალიფიკაცია ბაღის თანამშრომელს არ აქვს. მისი პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ შეუმჩნეველი არ დარჩეს ის საეჭვო ნიშნები, რაც შესაძლებელია მიუთითებდეს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე; ასევე, ბავშვის დაცვის მიზნით, რეფერალისა და შიდა ინსტრუქციის ფარგლებში იმოქმედოს დროულად, რათა მისი მხრიდან დაგვიანებული რეაგირების გამო ბავშვის სიცოცხლე ან ჯანმრთელობა არ დადგეს რისკის ქვეშ ან/და არ მიადგეს შეუქცევადი ზიანი. მნიშვნელოვანია ასევე დაკვირვება ბავშვის ქცევაზე და შემთხვევასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება იმ მოცულობით, რაც წარმოქმნილ ეჭვს მეტად გააღრმავებს და მის საფუძვლიანობას დაადასტურებს ან პირიქით - ეჭვს გააქარწყლებს და მის უსაფუძვლობას დაასაბუთებს.

შემთხვევის გაანალიზების და ეჭვის საფუძვლიანობის დადგენის ეტაპზე, რეფერირებაზე პასუხისმგებელმა პირმა ასევე უნდა შეაფასოს - ხომ არაა სახეზე <u>გადაუდებელი შემთხვევა</u>. *გადაუდებელი შემთხვევა გულისხმობს მდგომარეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან შეიძლება გამოიწვიოს მისი სიკვდილი ან ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება მომდევნო 24 საათის განმავლობაში.*

ამდენად, როცა ეჭვის საფუძვლიანობისთვის საჭირო ნიშნები სახეზეა და, მით უფრო, როდესაც შემთხვევა გადაუდებელია, ბაღმა უნდა იმოქმედოს მყისიერად, მოახდინოს შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების სწრაფი ინფორმირება და არ დაკარგოს დრო შემთხვევის ისეთი დეტალების გარკვევაზე, რაც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ან პოლიციის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

2. უფლებამოსილი ორგანოების ინფორმირება

<u>**უფლებამოსილი ორგანოების ინფორმირება, როდესაც შემთხვევა არაა გადაუდებელი**</u>

საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, როდესაც შემთხვევა არაა გადაუდებელი, ბაღი ვალდებულია ბავშვთა დაცვის რეფერალის დანართი N2-ით გათვალისწინებული „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი“ (იხ. დანართი 1) შეავსოს და გააგზავნოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში (მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო) https://atipfund.moh.gov.ge/geo/attachment/566/misamarti (იხ. სააგენტოს ტერიტორიული

ერთეულები) ფოსტით, ფაქსით ან არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით.

<u>უფლებამოსილი ორგანოების ინფორმირება, როდესაც შემთხვევა გადაუდებელია</u>

საფუძვლიანი ეჭვის არსებობისას, როდესაც შემთხვევა გადაუდებელია, ბაღი ვალდებულია ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პოლიციას, გამოიძახოს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს შეატყობინოს „ცხელი ხაზის“ მეშვეობით ან/და წერილობით.

ბავშვზე ძალადობის თაობაზე ინფორმაციის შეტყობინების მიზნით მოქმედებს რამდენიმე სატელეფონო „ცხელი ხაზი“:

ა) სსიპ – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი: - 111. (აღნიშნულ ცხელ ხაზზე ბავშვთა დაცვის რეფერალში მითითებული არაა, ვინაიდან, ეს ნომერი რეფერალის ამოქმედების დროისთვის ჯერ არ ფუნქციონირებდა, ხოლო, მოგვიანებით - შესაბამის მთავრობის დადგენილებაში, ცვლილების გზით, აღარ ასახულა; თუმცა, აღნიშნული არ ცვლის იმ ფაქტს, რომ ეს სატელეფონო ცხელი ხაზი უშუალოდ ბავშვთა დახმარების მიზნითაა შექმნილი და ბაღს მისი გამოყენება შეუძლია ბავშვის მიმართ ძალადობაზე ეჭვის შემთხვევაში, გადაუდებელი შემთხვევის დროს, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთვის ინფორმაციის მისაწოდებლად);

ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი – 15-05;

გ) სსიპ – სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს ძალადობის მსხვერპლთა დახმარების ცხელი ხაზი: – 116-006;

დ) საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ნომერი - 112.

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს/ორგანიზაციას „ცხელ ხაზზე“ შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის საკითხებზე; ასევე „ცხელი ხაზ(ებ)ის“ მეშვეობით შესაძლებელია, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიაწოდონ ინფორმაცია ბავშვზე ძალადობის ან შესაძლო ძალადობის შესახებ.

<u>უფლებამოსილი ორგანოების ინფორმირება სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მქონე ბაღების მიერ</u>

ბავშვთა დაცვის რეფერალი რეფერირების პროცედურებში ჩართულ სუბიექტად განიხილავს ბაღს, რომელსაც განმარტავს, როგორც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებისმიერ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებულ ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებას.

ქართულ რეალობაში ბაღების ნაწილს იურიდიული პირის სტატუსი აქვს და შესაბამისად, ასეთი სტატუსის მქონე ბაღი ურთიერთობებში გამოდის, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. ბაღების

ნაწილი კი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სახით დაფუძნებული ბაღების გაერთიანების სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს; სტრუქტურული ერთეული დამოუკიდებელი სუბიექტი არაა და ექვემდებარება იმ იურიდიულ პირს (ბაღების გაერთიანება), რომლის სტრუქტურულ ერთეულსაც წარმოადგენს.

ასეთ დროს პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ ვინ შეიძლება განისაზღვროს რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად და ვის მიერ უნდა მოხდეს „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათის“ შევსება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში გასაგზავნად. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე ალტერნატივა:

ბაღები, რომლებსაც აქვთ იურიდიული პირის სტატუსი, თავადვე ამტკიცებენ თავიანთ შიდა ინსტრუქციას და თავადვე განსაზღვრავენ თანამშრომელთა რიგებიდან რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს. აღნიშნული პირის ფუნქციები დამოკიდებულია ბაღის მიერ მისთვის დაკისრებული უფლებამოსილების ფარგლებზე. მას შემდეგ, რაც რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი გამოკვეთს ბავშვის მიმართ ძალადობის ეჭვის საფუძვლიანობას, შემთხვევის შესახებ უფლებამოსილი ორგანო(ები)სთვის ინფორმაციის მიწოდებას თავად ახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას სავარაუდო ძალადობის ფაქტზე შეტყობინების გაგზავნის უფლებამოსილება ბაღის დირექტორისგან აქვს მინიჭებული. ასეთ შემთხვევაში, „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი“ რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით გაიგზავნება. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ბაღის დირექტორს აღნიშნული პირისთვის მსგავსი უფლებამოსილება არ მიუნიჭებია, რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ბაღის დირექტორს წარუდგენს მის მიერ იდენტიფიცირებული ბავშვის მიმართ ძალადობის სავარაუდო შემთხვევის შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული შემთხვევის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი ორგანო(ები)სთვის მიწოდებას კი ბაღის დირექტორი განახორციელებს. ამ შემთხვევაში, „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი“ დირექტორის ხელმოწერით გაიგზავნება, ხოლო რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი შესაძლებელია საკონტაქტო პირად მიეთითოს.

ბაღები, რომლებსაც არ აქვთ იურიდიული პირის სტატუსი და წარმოადგენენ იურიდიული პირის (ბაღების გაერთიანების) სტრუქტურულ ერთეულს, მოქმედებენ შესაბამისი იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული შიდა ინსტრუქციის შესაბამისად. ასეთ დროს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ რეგულაცია, რომელსაც ბაღების გაერთიანება თავის სტრუქტურული ერთეულისთვის ადგენს, იყოს შესრულებადი, მოქნილი და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საჭიროებებზე მორგებული. რეფერალის ფარგლებში დამტკიცებული შიდა ინსტრუქცია, პირველ რიგში, უნდა პასუხობდეს ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიზნით, ბაღისთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულების ინტერესს. რეფერალი სწორედ ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიზნით არსებობს; მისი სახით სახელმწიფომ შექმნა ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და მასზე რეაგირების ეფექტიანი და სწრაფი მექანიზმი. თუ რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტები (რომელთა შორისაცაა ბაღი) არ იმოქმედებენ დროულად და ეფექტიანად, რეფერალის მიზნები მიღწეული ვერ იქნება. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შემთხვევა არ ითვლება გადაუდებლად, დროული მოქმედება და სწრაფი რეაგირება კრიტიკული მნიშვნელობისაა ბავშვთა ძალადობისგან დაცვის მიზნებისათვის. ამ თვალსაზრისით,

მიზანშეწონილია, რომ შესაბამისი ბაღების გაერთიანების დირექტორმა რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირად თითოეულ ბაღში (ლოკაციაზე) განსაზღვროს ამავე ბაღის თანამშრომელი, რომელსაც შესაბამისი ორგანო(ები)სთვის შეტყობინების უფლებამოსილებასაც მიანიჭებს. ასეთ დროს, ეჭვის საფუძვლიანობის გადამოწმებასთან ერთად, შემთხვევის შესახებ უფლებამოსილი ორგანოებისთვის ინფორმაციის მიწოდებასაც რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი განახორციელებს და „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათიც“ მისივე ხელმოწერით გაიგზავნება. ეს იძლევა შესაძლებლობას, რომ ძალადობაზე ეჭვის გაჩენისას, შემთხვევის გაანალიზება, ეჭვის საფუძვლიანობის დადგენა და უფლებამოსილი ორგანოებისთვის შეტყობინება ადგილზე მყოფმა რეფერირებაზე პასუხისმგებელმა პირმა მყისიერად განახორციელოს.

ზემოხსენებული გადაწყვეტის ძალზედ მოუქნელი ალტერნატივაა - ბაღების გაერთიანების მიერ რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა მხოლოდ გაერთიანების ბაზაზე და არა ადგილობრივად თითოეულ ბაღში (ლოკაციაზე). ამ შემთხვევაში, ბაღის ნებისმიერმა თანამშრომელმა, ბავშვზე ძალადობის ეჭვის ნიშნების არსებობისას, ინფორმაცია უნდა მიაწოდოს ბაღების გაერთიანებას და იქ დასაქმებულ რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს. აქ გასათვალისწინებელია, რომ რამდენიმე სტრუქტურული ერთეულის არსებობის პირობებში, ერთდროულად ან დროის მოკლე შუალედში გამოვლენილი 2 ან მეტი შესაძლო ძალადობის შემთხვევის დროს (თუ ასეთს ადგილი აქვს), რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი ვერ უზრუნველყოფს ეფექტიანად შემთხვევების ერთდროულ მართვას; ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ტერიტორიულად დაშორებულ სტრუქტურულ ერთეულში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის მისვლამდე, ვერ დაიწყება ბავშვზე ძალადობის ეჭვზე რეაგირება; და სანამ აღნიშნული პირი ადგილზე გამოცხადდება, ბავშვი შესაძლებელია ბაღიდან სწორედ იმ მშობელმა ან ოჯახის წევრმა გაიყვანოს, რომელმაც ბავშვზე თავად განახორციელა ძალადობა და ასეთ დროს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი იმავე დღეს ვეღარ მოახდენს შემთხვევის გადამოწმებისთვის/გაანალიზებისთვის საჭირო მოქმედებების განხორციელებას.

ნებისმიერ შემთხვევაში, ბაღები მოქმედებენ შიდა ინსტრუქციის შესაბამისად გაწერილი წესით. ბაღების გაერთიანება მის დაქვემდებარებაში მყოფი ბაღებისთვის ამტკიცებს შიდა ინსტრუქციას. შესაბამისად, ვის დაევალება ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში ეჭვის გაჩენისას რეფერალით გათვალისწინებული მოქმედებების განხორციელება, ბაღების გაერთიანების დირექტორის დასარეგულირებელი საკითხია, თუმცა რეგულაცია, რომელიც რეაგირების ვალდებულებას აკისრებს ტერიტორიულად დაშორებული ბაღების გაერთიანების თანამშრომელს და არა უშუალოდ კონკრეტულ ბაღში (ლოკაციაზე) დასაქმებულ პირს, შეიცავს რისკებს, რომ არ მოხდეს ბავშვზე შესაძლო ძალადობის შემთხვევის დროული გამოვლენა და შესაბამისი ორგანო(ები)სთვის ინფორმაციის სწრაფად მიწოდება. რაც შეეხება უშუალოდ „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათის“ შევსებას და მასზე ხელმოწერას, აღნიშნული შევსებული ფორმა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ ამ პირს ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ შესაბამისი უფლებამოსილება ექნება მინიჭებული (ასეთ დროს, შიდა ინსტრუქციით, დამატებით შეიძლება განისაზღვროს რეფერირებული შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობისთვისაც). ხოლო, იმ

შემთხვევაში, თუ ასეთი უფლებამოსილება რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს არ მიენიჭება, თავად ბაღების გაერთიანების დირექტორის მიერ ხელმოწერილი „ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი“ უნდა გაიგზავნოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოში, რომელზეც საკონტაქტო პირის ხელმოწერის ველში შესაძლებელია მითითებული იყოს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერაც.

3. ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობა

მას შემდეგ რაც ბაღმა გამოავლინა ძალადობა და მოახდინა შემთხვევის შესახებ უფლებამოსილი ორგანოების ინფორმირება, მას კვლავ რჩება ვალდებულება ძალადობის მსხვერპლის ბავშვის რეაბილიტაციის ეტაპზე:

ა) ბაღი ვალდებულია, სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსთან შეთანხმებით, თავის კომპეტენციის ფარგლებში, თვალყური ადევნოს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობას და რეგულარულად მიაწოდოს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკს წერილობითი ანგარიში ბავშვის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ. ანგარიში უნდა მოიცავდეს:

ა.ა) ბავშვის ბაღში გამოცხადების შესახებ ინფორმაციას;

ა.ბ) ბავშვის განვითარების მაჩვენებლებზე ინფორმაციას;

ა.გ) ბავშვის ქცევებზე ჩანაწერებს;

ა.დ) ბავშვის ჯანმრთელობის, საჭიროების შემთხვევაში, ფსიქიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას;

ა.ე) მონაცემებს სხვა აქტივობებში ჩართვის შესახებ.

ბ) მიაწოდოს ინფორმაცია პოლიციას მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის შესახებ, თუ გამოწერილია შემაკავებელი ან დამცავი ორდერები და ბაღი გახდა მოძალადის მიერ ბავშვთან კავშირის დამყარების მცდელობის მოწმე.

თავი VI. ბაღის თანამშრომელთა გადამზადების აუცილებლობა ბავშვთა ძალადობის საკითხებზე

ბაღში, როგორც უკვე აღინიშნა, განსაზღვრული უნდა იყოს კონკრეტული თანამშრომელი - რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის უშუალო პასუხისმგებლობა იქნება ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილება და ბავშვთა ძალადობისგან დაცვა, მათ შორის, პასუხისმგებლობა რეფერალისა და შიდა ინსტრუქციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე. მისი ფუნქციები ბაღის მიერ დეტალურად უნდა იყოს განსაზღვრული.

ვინაიდან რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი მთავარ პერსონას წარმოადგენს ძალადობის შემთხვევათა გამოვლენისა და მასზე რეაგირების კუთხით, მნიშვნელოვანია, რომ ის განსაკუთრებით კარგად ფლობდეს შესაბამის ცოდნას ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე; ამ კუთხით, გავლილი უნდა ჰქონდეს გადამზადება ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე, მათ შორის, რეფერალით გათვალისწინებულ პროცედურებთან დაკავშირებით - ძალადობის ამოცნობის და რეაგირების მექანიზმებზე.

ასევე გასათვალისწინებელია, რომ გადამზადების აუცილებლობა არ ეხება მხოლოდ რეფერირებაზე პასუხისმგებელ პირს; იმისათვის, რომ ბაღმა ძალადობისგან თავისუფალი გარემო შექმნას, ბაღის თანამშრომლებს სწორად უნდა ესმოდეთ ძალადობის მნიშვნელობა და ფლობდნენ ცოდნასა და სათანადო უნარებს ბავშვზე ძალადობის გამოსავლენად. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამშრომელთა გადამზადების აუცილებლობა. ბაღის ნებისმიერ თანამშრომელს, რომელსაც ბავშვთან აქვს შეხება, უნდა შეეძლოს ძალადობის ამოცნობა, ფლობდეს ინფორმაციას ძალადობის ფორმებსა და ამოცნობის ნიშნებზე, რეაგირებისა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს/პოლიციის ინფორმირების ვალდებულებაზე.

გასათვალისწინებელია, რომ ბაღის თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება აღნიშნული მიმართულებით, ერთის მხრივ, მათ ძალადობის ამოცნობისა და სათანადო რეაგირების ვალდებულების შესრულებაში დაეხმარებათ, მეორეს მხრივ, კი ძალადობაზე სათანადო ინფორმაციის ფლობა დააზღვევს რისკს, რომ ბაღის თანამშრომელი თავად არ გახდეს ბავშვის მიმართ ძალადობრივი ქმედების ჩამდენი, მათ შორის „აღმზრდელობითი“ მიზნით.

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთა უფლებების, მათ შორის ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, ბაღის თანამშრომლები გარკვეული პერიოდულობით გადიოდნენ გადამზადებას. ბაღს თავად შეუძლია განსაზღვროს პირი, რომელიც მისი თანამშრომლების გადამზადებას უზრუნველყოფს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შესაბამისი ტრენინგით/სწავლებით უნდა დაიფაროს ბავშვთა მიმართ ძალადობის, მათ შორის რეფერირების პროცედურებთან დაკავშირებული თემები.

თავი VII. ნაპოვნი/მიტოვებული ბავშვი

ბავშვის პოვნის ან მიტოვებისას, შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციამ, სადაც მოხდა ბავშვის პოვნა/მიტოვება, დაუყოვნებლივ უნდა მოახდინოს აღნიშნული ფაქტის შესახებ სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოსა და სამართალდარღვევათა პრევენციის და ვინაობის დადგენის მიზნით, პოლიციის ინფორმირება სატელეფონო ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალებით, ხოლო შემდეგ კი უნდა შეივსოს ბავშვთა დაცვის რეფერალის დანართი N4-ით გათვალისწინებული შეტყობინების ფორმა „ბავშვის პოვნის ან ბავშვის მიტოვების შესახებ“ (იხ. დანართი 2) და გადაეცეს სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს სოციალურ მუშაკს.

თავი VIII. ინფორმაციის გაცვლა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში

რეფერირების პროცედურების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის რეფერირების პროცედურებში ჩართულ სუბიექტებს შორის ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლა ხდება წერილობითი ფორმით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში სატელეფონო ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით.

თავი IX. ინფორმაციის კონფიდენციალურობა

ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ვინაობის, მისი ჯანმრთელობისა და ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ მიღებული ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შესაძლებელია მხოლოდ რეფერირების პროცედურებში ჩართული სუბიექტების შესაბამის უფლებამოსილ თანამშრომლებს შორის სამსახურებრივი საქმიანობის შესრულების მიზნით. ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ბავშვის მშობლისათვის/მშობლებისათვის/კანონიერი წარმომადგენლისათვის, თუ არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი (მაგ: არსებობს ეჭვი, რომ თავად ეს მშობელი/კანონიერი წარმომადგენელია მოძალადე) და ბავშვის მშობლებს ან შესაბამის მშობელს არ აქვთ/აქვს შეზღუდული ან ჩამორთმეული მშობლის უფლება.

მნიშვნელოვანია, რომ კონფიდენციალურობა ასევე გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვზე ძალადობის ეჭვის გადამოწმების ეტაპზე, გასაუბრების, მათ შორის, ბავშვთან გასაუბრების, დროს და აღნიშნული არ განხორციელდეს სხვა ბავშვების ან იმ პირთა თანდასწრებით, რომელთა ადგილზე ყოფნის აუცილებლობა არ იკვეთება რეფერალის ფარგლებში.

თავი X. ვალდებულებათა შეუსრულებლობა

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 172[6] მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას; კერძოდ კი, შესაბამისი ფიზიკური პირის გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 50 ლარიდან 100 ლარამდე ოდენობით, შესაბამისი დაწესებულების (იურიდიული პირის) დაჯარიმებას 100 ლარიდან 200 ლარამდე ოდენობით.

ამდენად, პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის მნიშვნელოვანია, ერთის მხრივ, ბაღს შიდა ინსტრუქციით ჰქონდეს გათვალისწინებული, ძალადობაზე ეჭვის შემთხვევაში, თანამშრომელთა მოქმედების სქემა და მეორეს მხრივ, ასევე მნიშვნელოვანია, თავად თანამშრომლებს ჰქონდეთ გაცნობიერებული საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა ამ სქემაში. პასუხისმგებლობა დგება იმ თანამშრომლისთვის/დაწესებულებისთვის, რომელსაც ეჭვი უნდა მიეტანა და არ მიიტანა, რომელსაც რეაგირება უნდა მოეხდინა და არ მოახდინა.

დანართი 1

დანართი №2

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის დადგენილება №101 – ვებგვერდი, 13.02.2020წ.

ბავშვთა დაცვის მიმართვის ბარათი

ინფორმაცია მომმართველის შესახებ: დაწესებულების ტიპი: □ სკოლა/მანდატურის სამსახური □ საბავშვო ბაღი □ საგანმანათლებლო და სკოლისგარეშე სახელოვნებო და/ან სასპორტო დაწესებულება □ ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულება □ სამედიცინო სერვისების მომწოდებელი (მათ შორის, სოფლის ექიმები) □ მუნიციპალიტეტის ორგანო/დაწესებულება □ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი □ საქართველოს პროკურატურა □ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი□

დაწესებულების დასახელება და მისამართი:

საკონტაქტო პირის

სახელი_____გვარი_____თანამდებობა_____

საკონტაქტო ტელეფონი _____

ინფორმაცია ბავშვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სახელი_____ გვარი _____ ასაკი _____

პირ. № (ასეთის არსებობისას ან არქონის მიზეზი)_____ სახლის მისამართი

_____

მშობლის/მეურვის/მზრუნველის

სახელი_____ გვარი _____ ტელეფონის ნომერი_____

ეჭვის წყარო:
1. ადრეული ქორწინება ან ასეთის რისკი. 2. ძალადობის სხვა სახეები. (აღნიშნეთ, თუ ჩამონათვალში რომელიმე შეესაბამება აღნიშნულ მდგომარეობას)

ბავშვის სხეულის დაზიანებების ნიშნები:	**ბავშვის საეჭვო ქცევა:**	**მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის/ სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა:**
□ სილურჯეები; □ ახალი ჭრილობები; □ ახალი ნაკაწრები; □ ახალი იარები; □ მოძრაობის გაძნელება; □ სხეულის ნაწილის შეშუპება; □ მოტეხილობები; □ სხვა ნიშნები (მიუთითეთ)	□ ბავშვი აღგზნებულია; □ აქვს შიშები; □ არარეგულარულად დადის სკოლაში; □ არ სწავლობს; □ არ უნდა სახლში დაბრუნება; □ დათრგუნულია; □ ასაკის შეუფერებლად სექსუალურია/აქვს სექსის შესახებ ასაკის შეუფერებელი ცოდნა; □ რადიკალურად შეეცვალა ხასიათი; □ ვერ ხსნის ტრავმის მიზეზებს; □ მოუვლელია; □ არ არის რეგისტრირებული (არ აქვს დაბ. მოწმობა), არ არის ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ; □ დროს ატარებს უმეთვალყურეოდ/გადაადგილდება უცხო პირთან ერთად;	□ ტრავმის სიმძიმე არ შეესაბამება ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობს; □ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება; □ მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/სხვა პასუხისმგებელი პირი არაადეკვატურად რეაგირებს ბავშვის ტრავმაზე; □ ტრავმა ფასდება უფრო მსუბუქად, ვიდრე არის □ ტრავმის მიზეზის ახსნა არ ხდება; □ სხვა ნიშნები (მიუთითეთ).

	□ ჩართულია შრომით/ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში (ითხოვს მოწყალებას); □ სხვა ნიშნები (მიუთითეთ)	

სხვა ფაქტორები (აღწერეთ):

1. ძალადობაზე ეჭვის წყაროს გამოვლენისას რა ღონისძიებები იქნა გატარებული სუბიექტების მხრიდან, რათა დადგენილიყო საფუძვლიანია თუ არა ეჭვი? (აღწერეთ გატარებული ღონისძიებები და შედეგი).

2. ძალადობაზე ეჭვის წყაროს გამოვლენისას, რა ღონისძიებები იქნა გატარებული საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური ცენტრის (სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის) მხრიდან, რათა დადგენილიყო, საფუძვლიანია თუ არა ეჭვი? (აღწერეთ გატარებული ღონისძიებები და შედეგი).

საფუძვლიანი ეჭვის წყარო:

თუ ღონისძიებების ჩატარების შემდეგ გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, შემოხაზეთ რომელ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: **ერთ-ერთის შემოხაზვა სავალდებულოა, შეიძლება ერთდროულად რამდენიმეს შემოხაზვაც:**

1. ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
2. ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
3. ბავშვზე სხეულის დაზიანების არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მშობლის არაადეკვატური ქცევა;
4. ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
5. ბავშვის საეჭვო ქცევის არსებობისას წარმოებული გამოკითხვის შედეგად სახეზეა დამატებითი ფაქტორი: მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

6. ბავშვის პირდაპირი განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;
7. მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
8. სხვა (დაასაბუთეთ).

საკონტაქტო პირის ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

დაწესებულების დირექტორის ხელმოწერა: _____

ორგანიზაციის ბეჭედი:

დანართი 2

დანართი №4

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 თებერვლის დადგენილება №101 – ვებგვერდი, 13.02.2020წ

სსიპ – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს _____

შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

ბავშვის პოვნის ან ბავშვის მიტოვების შესახებ

ადგილი _____

(მიეთითება მუნიციპალიტეტი, დასახლება და ზუსტი მისამართი (თუ ეს შესაძლებელია)

თარიღი _____

1. ბავშვის პოვნის ადგილი ან დაწესებულების დასახელება, სადაც ხდება/მოხდა ბავშვის მიტოვება

2. მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია

3. ინფორმაცია ნაპოვნი ბავშვის ან მიტოვებული ბავშვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

სახელი _____

გვარი_____

სქესი _____

დაბადების თარიღი _____

საცხოვრებელი ადგილი რეგისტრაციის მიხედვით_____

ფაქტობრივი ადგილსამყოფელი _____

ბავშვის პოვნის ან მიტოვების დრო _____

ნაპოვნი ან მიტოვებული ბავშვის მდგომარეობის აღწერა _____

გატყობინებთ ბავშვის პოვნის/ბავშვის მიტოვების შესახებ

(უფლებამოსილი (კომპეტენტური) საკონტაქტო პირი და თანამდებობა)

ხელმოწერა_____ ბეჭდის ადგილი